

8
1908



ქართული
ბიბლიოთეკა



СЛАВА
К П С С !

ბაჟუარტოს
1 გაიოს

МИРУ МИР!

წინ, კომუნისტების ბაჟუარტვებისაკენ!

№ 8 თბილისი აკრილი 1960



მოჩანს დიადი,
წარმმართველი
ლენინის აზრი,
მოჩანს მესაჟე
და წამყვანი
ბელადის ხელი.

ვლ. მიაკოვსკი

მთავართბილმშენის № 2 სამშენებლო სამმართველოს მუშაკებმა ამას წინათ ეპოქალური მნიშვნელობის სიახლე შეიტანეს სამშენებლო-საინჟინრო საქმეში და ამით სამუდამოდ უკვდავყვეს თავიანთი ღირსახსოვარი ღვაწლი.

საგანგებოდ მოწვეულ თათბირზე დასვეს კვამლის ყოფნა-არყოფნის საკითხი.

მომასწინებელმა, საქმის საფუძვლიანი ცოდნითა და ანტიკური და თანამედროვე ავტორიტეტების წყაროებზე მითითებით, დამაჯერებლად დაადასტურა, რომ კვამლი წვის შედეგია.

— ...მაგრამ ...მაგრამ სასარგებლოა თუ არა კვამლი? — იკითხა მან და პენსნე გაისწორა.

— არა, უბასუხეს ზოგიერთებმა.

— მეც მანდა ვარ, — განაგრძო ორატორმა, — კვამლი ხრჩოლავს. იგი მავნებელია და უსარგებლო და, მაშასადამე, ზედმეტი. ჩვენ კი, როგორც მოგეხსენებათ, შეუბრალებლად ვებრძვით ასეთ გადმონაშთებს და, აგრეთვე, ყველაფერს, რაც ზედმეტია. ამიტომაც, გამომდინარე ყოველივე ზემოთქმულიდან, წინადადება შემომაქვს: ამიერიდან შეშა უკვამლოდ დაიწვას.



აი როგორ გამოიყურება სახლის ეზო, სახლის საექსპლუატაციოდ გადაცემიდან 2 წლის შემდეგ.

- დაიწვას! — დაუდასტურეს მას.
- მოისპოს კვამლი, როგორც კლასი!
- ძირს კვამლი!

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

1. მოისპოს კვამლი, როგორც კვამლი;
2. დაინერგოს უსაკვამურო ღუმელები;
3. შეშას კატეგორიულად აეკრძალოს წვის დროს კვამლის გამოყოფა.

ასე მოხდა უდიდესი გარდატეხა საინჟინრო საქმეში.

ეს სიახლე ჯერჯერობით ნაწილობრივ დაინერგა ბარნოვის ქ. № 116 სახლის III სადარბაზო შესასვლელის I, II და III სართულებზე:

ვითომ შემთხვევით, მესამე და მეოთხე სართულებს შორის სააბაზანოს საკვამურის ადგილზე რკინა-ბეტონის ფილა დაახურეს. კვამლს გზა რომ არ ექნება და, პეპელასავით, ვერც გაფრინდება და ვერც მოფრინდება, მოისპობა, აბა რომელ ბებიამისთან წავაო.

მაგრამ კვამლმა აიჩემა: თქვენს ჯინაზე არ მოვისპობი, უწინამც თვალებს ამოგთხრითო.

მოუნდათ მცხოვრებლებს აბაზანის მიღება და დაანთეს ცეცხლი I სართულზე, ავარდა კვამლი II და III სართულებზე და გაინავარდა ოთახებში. დაანთეს II სართულზე, კვამლმა ორ ფრონტზე შეუტია, ძირს — პირველ და ზევით — მესამე სართულისაკენ. დაანთეს მესამეში — ახრჩოლდა მეორეა და პირველში.

აპყვენენ კვამლს დიასახლისები: არა შენ გინთია ცეცხლი და არა შენო.

და მიპყვა ამ ჩხუბსა და აყალმაყალში თვე თვეს, წელიწადი წელიწადს,

რკინა-ბეტონით დაიხურა საკვამურის ადგილი და საბუღალტრო რკინა-ბეტონით დაიხურა 1958 წლის მარტის თვეში

საექსპლუატაციოდ გადაცემული ამ ოთხსართულიანი კვამლ-გაუვალი სახლის ხარჯებიც.

მოითხოვეს მცხოვრებლებმა: — ვერ ვიშოვეთ უკვამლო შეშა, მიიღეთ მოწყალეობა გაგვიკეთეთ საკვამურიო. — მაგრამ მათი გულსაკლავი ღაღადისი საკვამლე მილს ხახაში გაეჩხირა და კვამლით მოიგუდა.

— ხარჯები დახურულია, გადახურული საკვამლე მილის გასახსნელი ხარჯები არა გვაქვს, — აი პასუხი.

— სახლის ლავგარდანზე ხარაჩოები რომაა, ის მაინც მოგვიხსენით, თორემ სახლსაც აუშნოებს და, თუმცა დაზღვეულები ვართ, მაგრამ მაინც საშიშია, თავზე დაგვეცესო.

— ხარჯები დახურულია და ხარაჩოს ვერ მოვხსნით, თავს გაუფრთხილდით და თავზე არაფერი დაგეცემათ — დაარიგეს სამმართველოს მუშაკებმა.

— საცეცხლფარეშოს მაინც მიხედეთ, ღმერთი არ იცით? ცეცხლფარეშსაც ხომ უნდა წყალი, სინათლე, ჰაერი, დასვენება...

— ცეცხლფარეში იმიტომ კი არ მოგვიწვევია, სუფთა ჰაერზე იყოს და დაისვენოს. რაც უფრო მოუწყობელი იქნება, მით უფრო იფხიზლებს, მეტ ნახშირს შეუკეთებს და უფრო გაგათბობთ, ჩვენ თქვენთვის ვზრუნავთო.

— ჩვენზე ზრუნვაში ღამე რომ არა გძინავთ, ეს ბავშვმაც კი იცის, მაგრამ ეზოს საყრდენი კედელი ხომ უნდა, ვერა ხედავთ, მეწყერი წვება და სახლები ჩამოაქვსო.

— სახლს თუ ჩამოიტანს, რა გენალღვებათ, ახალი მეზობლები მოგემატებათო.

აიხირეს მცხოვრებლებმა: — საყრდენი კედლები გაგვიკეთეთ, თორემ წვიმის წყალი, ნარეცხის წყალი და ყველა ჯურის ნაწურ-ნაჭური ეზოში ჩამოდის, წუმპე ჩნდება და ჰაერი იწამლებო.


— ჰაერს თავი დაანებეთ, თქვენს თავს მიჰხედეთო. არ დაცხრნენ ბინადარნი: — აგვიშენეთ, თორემ აქ გიჩივლებთ, იქ გიჩივლებთო.

— კეთილი. ჩივილს თავი დაანებეთ და აგვიშენებთო. დაიწყეს კედლის შენება.

— ბოლოს და ბოლოს, გვეშველა, — გაიფიქრეს მცხოვრებლებმა.

— ის ჩვენ ვიცით, რაც გეშველათ, — უშმაკურად ჩაიღიმეს მშენებლებმა და შენება შეწყვიტეს:

— ასედაც კარგია, კედლის ხარაჩოზე ბავშვები გავლენ, ჯამბაზობაში გაიწაფებიან, საშვილიშვილო საქმე გაკეთდებაო.




სამშენებლო ნარჩენები სახლთან.

მცხოვრებლებმა ახლა ნიანგამდე იარეს არზით ხელში და ითხოვეს სამართალი.

განაწყენებულმა მშენებლებმა ისევ აღმართეს ხარაჩოები და მიუმატეს კედელს ერთი ციდა და მერე წავიდნენ იქიდან და ცამ ჩაყლაპა, თუ დედამიწამ, ვერაინ გაიგო.

ღვას ხარაჩო გარინდებით და ელოდება, როდის წაღეკავს მას მთიდან მოვარდნილი მეწყერი ან როდის მოისურვებს მთავართბილმშენის № 2 სამშენებლო სამმართველო ბოლომდე მიიყვანოს ზრგზის დაწყებულ-განახლებული საქმე.

მოთმინებადაკარგული ნიანგიც მოთმინებით ელოდება პასუხს.



ნახატები ნაჯაბგულისა

კირპი სტუმრად ნიანგთან



— ხად მიგაქვს ჩვენი თივა?
— ხახლში, თქვენს და-ძმებთან.

მოძმე აზერბაიჯანმა 29 აპრილს უდიდესი ზეიმით აღნიშნა აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავი. ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყველა მშრომელს ახარებს ის უდიდესი მიღწევები, რომლებიც აზერბაიჯანელმა ხალხმა მოიპოვა ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის გატარების საფუძველზე.

მოძმე აზერბაიჯანის მშრომელები შესანიშნავი წარმატებებით შეხვდნენ რესპუბლიკის სახელოვან იუბილეს და ამჟამად გმირულ შრომას ეწევიან შვიდწლიანი გემის ვადაზე ადრე შესრულებისათვის.

აზერბაიჯანელ ხალხთან ერთად, მომავლის ყველა მშენებელთან, კომუნისტების მშენებლებთან ერთად,

კომუნისტური პარტიის წინასწარდასახულებათა განხორციელებისათვის ბრძოლის საქმეში თავისი ღირსეული წვლილი შეაქვთ პრესის მუშაკებს.

საზეიმო დღეს საქართველოს სატირისა და იუმორის ჟურნალი «ნიანგი» მხურვალედ მიესალმება თავის ღვიძლ ძმას—აზერბაიჯანის ჟურნალ «კირპს» (ზღარბი) და უსურვებს მას, რომ კვლავაც დაუნდობლად ებრძოდოს მანკიერებას, გადმონაშთებს, სატირის მახვილით გაანადგუროს ყველაფერი, რაც ხელს უშლის ჩვენს წინსვლას კომუნისტებისაკენ.

ნიანგმა სტუმრად მოიწვია კირპი და სპეციალურ გვერდზე ბეჭდავს მისი რედაქციიდან მიღებულ კარიკატურებს.



— ამას გიბარებთ, როცა მოგკვდები, ზაწყობთან დამასაფლავეთ.



— ხომ დამპირდი, ინსტიტუტს რომ დავამთავრებ, ცოლად შეგიერთავო.
— რა ვქნა, ჯერ ისევ მამის კისერზე ვზივარ.
— ცოტა მიიწი და მეც ჩამოვჯდები.



დაბადების დღე

— პატივცემულო დირექტორო, ვიცი, რომ დიდი ხაჩუქრები არ გიყვართ და ახლა ეს პატარა საჩუქარი მოგართვით.



ნიანგის
პიხვი



ტიკის „მეგობარი“ ცხაკაიას პარკის შემოღალზე

ნიანგი მურყავდნ მის-
საღმებზე თვის უცროს მებს,
ჩვენი რესპუბლიკის რაიონე-
ბისა და ქალაქების სატი-
რულ-ფორმისტილ კვლდის
გაზუბებს. ისინი დიდ მუშაო-
ბას უწყევან და თავიანი
დარსეული წვლილი შეაქვი-
თნ ნაკლეონებია წინააღ-
დეგ ბრძოლაში, რომლებიც ხელს უწყვიან ჩვენი ქვეყნის
წინსვლის სომეხობის ბრწყინვალე მშვენიერებისაყენ.

ამის წინააღ საქაროვდის სსრ აღყ ცენტრალურმა
კომიტეტმა მოაწყო სატირულ-ფორმისტილ კვლდის
გაზუბების რესპუბლიკური დავაღვრებმა. რამე მზა-
ვლი საინტერესო ანატი ვაგადაღვრა.

მურორატებთან, მუქრომაგებთან, მოღაყებთან, გამ-
ღვანყვლებთან, წყინისკვლებთან და სხვა ჯუროს ან-
ტისსოზადგობრივ ვლერებთან ბრძოლაში ეს გაზუბები
ისე ვაყავდნენ, რომ ცენტრალური კომიტეტის ქება, სა-
ველები და ფასიანი საბეჭებები დაიშასებურს. გაზუბების
ყვალული თანამშრომლებს: რედაქტორებს, მხატვრებს, კო-
ლეგების წევრებს გადაეცათ ტურისტული საგზურები და
ფასიანი საბეჭები.

გაზუბებმა მხავილი მიმართეს საზოგადოებრივი წეს-
როვის, სოციალისტიკური კანონიერებისა და ცხოვრების
წესების დარღვევთა წინააღდეგ, იბრძვიან საზოგადოე-
ბის ერთ ნაწილში დარჩენილ გაღმრინაშობებს—ლოთო-
ბის, უწყაშრობის, ხალხის საკუთრებისადმი დავღვარი
დაპოკლეონების აღმოსაფხვრელი.

გამსაყურობითი გამორჩინა ბავი კომეციონის სათაუმის
საქალაქი კომიტეტის ირგანო—მანგევისსარტია, სო-
ხუმის საქალაქი კომიტეტის ირგანო—მანიე დაღის
ქალაქშია, ცხაკაიას რაიონული კომიტეტის ირგანო—
„ხალტის წყრში“ და მრავალმა სხვამ.

ესსურებუ მათ მხარე მხავილი არ დაღვრებდები
იმა წინააღდეგ ბრძოლაში, ვინც ხელს უწყვიან ჩვენი
ქვეყნის წინსვლის კომეციონისაყენ.

ველე უცრო, ჩვენი უცროსი მებს!

მხიარული ბავობირება ცხაკაიასში



ნან, მ. ბარკაიასი

ბურბუმელას გვირგინი და ქვლებისკენ მერი-პერი.
ხეგზუეს ავსებეს, უფის აურუებს მათ „კუჩხი-ბელინერი“



ნან, ა. ჩხუტაია

შეაკლეტმა, თმების გაღლა... ხელ-ფეხების განღვანა;
დიღულუ დიღულუ აღარ გვაყავარა გვაი გვაი ვაი ნანა!



რათა ყველამ გაიციონს „თვალუ“ და „რაგადიო“,
სანიანგო „გაი ნანა“ გაიხადეს სარადიოდ.



სანიანგო
ბიჭური



ცხაკაიასი მომხმენი ბეგრი
ყოფილა: დარწმუნებული ვართ,
რომ ავტობუსი ამ წვლს ქ. ცხა-
კაიას რაიონული კერის კუბებში
უღვებუ. მანამ ხუბან წყდობი
ქელი უფული მამუღვითი ფე-
რანა.

„სოპა... ან სოპა... საკით-
ხები ან ის აინს...“

„პაპომხმის, დროა!“

ავსაზუთის ფეხბურთი „ჩვეი-
ის (თავმჯდომარე ი. მხაკიკი)
რესპუბლიკურ შეჯიბრებებზე
ფეხბურთში მოგვარი მხავის თა-
ნაშეწყვიტად ცვალოფიფერი მხა-
ვეების ნაცვლად ბავშვები ვამა-
ყვებ.



ნან, ა. ბელუცკია

შველს უღვლი არა შეწის,
მგელი უნდა საბოგადი,
ჩიღალ უნდა ბავშუს სასტენი,
მოტანული საწოლარა,
როცა მხავივი უკლოა,
რა იბარკებს დანარჩენი,
რის მუგობრი, რა მუგობრი
ტუტეშეწობის განაყენა!



ქართული ღვინო

იმიტომ, რომ არ იშოვება ბოთლი. რატომ არ იშოვება ბოთლი? იმიტომ, რომ არ იშოვება. ამიტომაც სითხეს ასხამენ გატეხილ ბოთლებში, რომლებზეც აკრულია ეტიკეტი სითხის ხმარების წესებით, რომელთა წაკითხვა ისევე ძნელია, როგორც სითხის შოვნა.

ნიანგმა თავისი გამჭრიახი თვალით მაინც შესძლო ამოკითხვა ეს აუხსნელი ბილინგვა და დაედგინა, რომ საქმე არა

მარტო საწარმოო ტერიტორიის მიერ დამზადებულ სარეცხის მათებულ სითხესთან, არამედ უდი-

დეს ისტორიულ-ქიმიურ-სამრეწველო-სამეურნეო აღმოჩენასთან გვაქვს. აი, რა წერია ხმარების წესში ქართულად:

«ჩაის ჭიქა სითხე შეურიეთ 20 ლიტრ თბილ წყალს. თეთრეული წინასწარ გარეცხეთ ერთხელ ჩვეულებრივად, შემდეგ ჩაუშვით სითხიან ხსნარში და გააჩერეთ 1/2 საათამდე სარეცხის სიჭუჭყის მიხედვით...»

ახლა ვნახოთ რა წერია რუსულად: «Время выдерживания белья в растворе от 0,5 до 3-х часов в зависимости от загрязненности белья...»

ეს არის საოცრად გონივრული აღმოჩენა. ადრე იმის დასადგენად, რამდენ ენას ფლობდა ადამიანი, არსებობდა უამრავი ხერხი: ზეპირი გამოცდა, წერიითი გამოცდა, ანკეტის შევსება, რომელშიც მოქალაქე ავსებდა გრაფას თუ რომელ ენას ფლობს, მაგრამ ეს მეთოდი ბევრ დროს მოითხოვდა და არც შეიძლებოდა

მასზე დაყრდნობა, რადგან ცუდლუტ მოქალაქეს შეეძლო დაეწერა, რომ მან იცის ქართულიც და რუსულიც. სინამდვილეში კი არც ერთი არც ცოდნობა მათეთრებელი სითხის ხმარებით ადვილი დასადგენი ხდება, იცის თუ არა მომხმარებელმა ქართული და ფლობს თუ არა რუსულს.

მათეთრებელმა სითხემ რევოლუცია მოახდინა ამ საქმეში. ახლა გამოცდა ხდება შემდეგნაირად: მოქალაქეს ეძლევა მათეთრებელი სითხე; იგი დახედავს ეტიკეტს და იწყებს თეთრეულის რეცხვას. თუ რეცხვამ ნახევარ საათზე მეტ ხანს არ გასტანა, ესე იგი მომხმარებელმა ბრწყინვალედ იცის ქართული და აბსოლუტურად უვიცია რუსულში. თუ თეთრეულის რეცხვამ სამ საათს გასტანა, ნათელი ხდება, რომ მოქალაქე შესანიშნავად ფლობს რუსულ ენას და მოიკოჭლებს ქართულში. ხოლო, თუ თეთრეულის ხარშვა მერყეობს ან საათნახევარს მიმდინარეობს, ესე იგი, მომხმარებელი ფრიად განსწავლულია და ორივე ენას ფლობს, რადგან გამოყავს საშუალო არითმეტიკული და იმის მიხედვით რეცხავს თეთრეულს.


ნიანგი ჯერ დიდ მადლობას მოახსენებს მომხმარებლის გამოცდის ამ მეთოდის დადგენისათვის, ხოლო შემდეგ თხოვს «უსინათლოთა კავშირის საწარმოო ტერიტორიას სოღანლულში», თუკი მის ძალ-ღონეს არ აღემატება, გამოუშვას კიდევ ერთი სითხე, ამჟამად მაწითლებელი, რომელიც ნახევარი ან სამი საათის რეცხვის შემდეგ ოდნავ მაინც გააწითლებს ასეთი ეტიკეტის შემდგენლებს.

უზოგოდ გათმობაული

თეთრეულის პირდაპირი დანიშნულებაა გაჭუჭყიანდეს, ხოლო, გაირეცხება თუ არა, ეს უკვე მეორეხარისხოვანი საქმეა და დიდადაა დამოკიდებული თეთრეულის პატრონზე. თეთრეულის გაშავების ძირითადი გამომწვევი მიზეზებია: ჭუჭყი, წვირი, ზინთი, ზანგი და ტანის დაუბანლობა. ყოველივე ამის სალიკვიდაციოდ მოგონილია საპონი, სარეცხი მანქანა, აბანო, მექისე და სარეცხის გასათეთრებელი სითხე, რომელსაც ამზადებს «უსინათლოთა კავშირის საწარმოო ტერიტორია სოღანლულში». გარდა იმისა, რომ ამ სითხეს ტერიტორია ამზადებს, იგი ხასიათდება საუკეთესო ავისებებით. ეს რომ ასეა, იქიდან ჩანს, რომ სითხე არ იშოვება. რატომ არ იშოვება სითხე?

არტელ „მხატვარს“ შტატში არც ერთი მხატვარი არ ჰყავს.

ნახ. ნ. შალაზონიასი



— რამდენი მხატვარი მუშაობს თქვენთან არტელში?
— მხატვრები რად გვინდა, როდესაც არტელს თვითონ ჰყვია „მხატვარი“!

ნაშრომი

კითხვები

დადის ერთი რითმოკრატი,
მიუღია კარგი სწავლა...
— შენ ამდენ კაცს რით
მოკლავდი,
ეს წერა რომ არ გესწავლა?!

ა. გელოვანი


ნათობი სურათი

ვიწრო კაბის მისდევს მოდას,
სულ მოდების შრიალშია.
თუ ნაბიჯი დაუმოკლდა—
ჭკუა რაღა შუაშია?!

მამას ყური არ ათხოვა,
დედამ აღარ მიუთითა.
დანიშნულმაც მიატოვა
და დიპლომი დარჩა მზითვად.

ბ. აბაიშვილი

„პრესის თავისუფლება“ თურქულად



საქართველო
საბჭოთა კავშირი

„პრესა თავისუფალია“ — ამ სიტყვებით იწყება კანონი, რომელიც აწესრიგებს ჟურნალებისა და გაზეთების გამოცემას თურქეთში. სად არის ეს თავისუფლება?! — იკითხავს ყოველი ადამიანი, რომელმაც იცის იმ დევნისა და საშინელი შევიწროების შესახებ, რომელსაც თურქეთში განიცდიან ჟურნალისტები.

საქმე ის არის, რომ ამ მშვენიერ სიტყვებს პრესის თავისუფლებაზე კანონში მოსდევს 45 „გამონაკლისი“, რომლის წყალობითაც ამჟამად 60-მდე ჟურნალისტი იმყოფება ციხეში. კანონის ეს „გამონაკლისები“ ისეა შედგენილი, რომ საშუალებას იძლევა პასუხისმგებლობაში იქნენ მიცემული ჟურნალისტები მათი ყოველი სტატიისათვის.

ამ „გამონაკლისების“ საფუძველზე, არა როგორც გამონაკლისი, ახლახან დააპატიმრეს გაზეთ „ვათანის“ 72 წლის დირექტორი ახმედ ემინ იალმანი. მართალია, იალმანი სრულიად არ ყოფილა მემარცხენე განწყობილების, მაგრამ მის გაზეთში დაბეჭდილმა ერთმა რეპორტაჟმა, რომელიც აკრიტიკებდა თურქეთის მთავრობის მოქმედებას, მოსუც ჟურნალისტს ციხეში ამოაყოფინა თავი. სიბერის ჟამს პრაქტიკულად უჩვენეს ახმედს, თუ რას ნიშნავს პრესის თავისუფლება თურქულად.

არსებული კანონების საფუძველზე, თურქეთში ჟურნალისტის დასჯისათვის საკმარისია მისი სტატია აღიარებული იქნას ისეთ მასალად, რომელიც „ზიანს აყენებს სახელმწიფოს ფინანსურ და პოლიტიკურ პრესტიჟს“. კანონი ოთხ წლამდე ციხეს ითვალისწინებს აგრეთვე პრესის იმ მუშაკე-

ბისათვის, „ვინც დასცინებს ან აბუჩად აიგდებს იმ პირებს, რომლებიც სახელმწიფო სამსახურში იმყოფებიან“. გამოდის, რომ ყოველ გონებაჩლუნგ და ბიუროკრატ მოხელეს, რომელსაც გააკრიტიკებენ გაზეთში, შეუძლია საქმე აღძრას სასამართლოში ჟურნალისტის წინააღმდეგ და აბუჩად აიგდების მიზეზით ციხეში ამოაყოფინოს თავი.

ამჟამად ათასამდე თურქი ჟურნალისტი სასამართლოს მიერ დასჯის საფრთხეშია. ალბათ, სტამბოლის „პრესის საქმეთა სამმართველო“ მზრუნველობას არ მოაკლევს მათ და პირველ რიგში „ჩაასახლებს“ იმ უდიდეს საპრობილემში, რომელიც კონსტანტინოპოლში შენდება.

მთავრობა ყველაფერს ითვალისწინებს. ბიზანტიური კონსტანტინოპოლის არქიტექტურული ძეგლების გვერდით 40 ათას კვადრატულ მეტრ ფართობზე შენდება 33 შენობისაგან შემდგარი დიდებული არქიტექტურული კომპლექსი, რომელიც, ხელისუფალთა აზრით, შექმნის განუმეორებელ ანსამბლს და თავისებურ სახეს მისცემს სტამბოლის პეიზაჟს.

არავინ იფიქროს, რომ აქ საავადმყოფოს ან იმ 17 ათას სასკოლო შენობის ერთ-ერთ კორპუსს აგებენ, რომელიც თურქეთს აკლია. ოცდაათი მილიონი ლირა ჩაყარეს იმისათვის, რომ ააშენონ ისეთი საპრობილე, რომელიც უდიდესი იქნება მთელ ახლო და შუა აღმოსავლეთში. მალე სტამბოლი მიიღებს ღირსეულ სამკაულს, რომელშიც განსახი-

რებული იქნება თანამედროვე თურქეთის სული.

კომპეტენტური პირები ასეთი დიდი საპრობილის საჭიროებას იმით ხსნიან, რომ თურქეთში განუწყვეტლივ იზრდება დანაშაულებანი, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში. შეიძლება მათთვის თავი არავის შეეწყუხებინა და როგორმე თურქულ პატარა საპრობილეებშიც ჩაეტენათ, მაგრამ ანგარიში ხომ უნდა გაუწიონ განუხრელად მზარდ მოთხოვნილებას საპრობილეებზე. ქუჩაში ხომ ვერ დასტოვებენ თავისუფლად მოაზროვნე ადამიანებს, თუნდაც იგივე ჟურნალისტებს.

ამიტომ არის, რომ, მთავრობის დაუცხრომელი „ზრუნვის“ შედეგად, მალე მწყობრში ჩადგება ახალი საპრობილე და თურქ ჟურნალისტებს შეუძლიათ თავისუფლად წერონ იმ იმედით, რომ მათთვის მუდამ იქნება თავისუფალი ადგილი ახალ საპრობილეში.

ნ. ნუკრიძე



უტექსტო ხუმრობა გ. ფირცხალავასი

რედაქტორი ნ. შველიძე.

სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მაღაზონია, მ. ქარჩავა, ო. ჭელიძე

საქ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нянгги“. ოქტაბრის მისამართი: რუსთაველის გამზ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის — 3-76-69, საერთო განყოფილების — 3-10-49.

ამომც. № 8 ხელმოწ. დასაბ. 16/IV-1960 წ. კალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. წყ. № 174 უფ. 02804 ტ.რ. 40.000

ვფიქრობ, მარტო ჩვენ როდი ვართ, ვისაც არ ახარებს, დასავლეთი გერმანია საფრანგეთს რომ ეარშიყება. ნება მიბოძეთ, გულახდილად ვთქვა ის, რაც მაწუხებს ეს არშიყობა საშიშია. მისი მიზანია მიაძინოს სიფხიზლე.

(ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ 1960 წლის 25 მარტს საფრანგეთის საპარლამენტო ჯგუფების წევრებთან შეხვედრის დროს წარმოთქმული პიტჩერიანი)

საქართველო
ბიბლიოთეკა



ნახ. გ. ლომიძისა

— იწვებით, შოგენიერო, ისეთი თაიგულია, რომ მისი სურნელეა ალაზნის გონებას დააკარგვინებს!